საქართველო, ქ. თბილისი
S.p.s. „monoliTi“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№58/14 „17“ ივნისი 2014 წ.

შ.პ.ს. ”ტიფლის ბიზნეს ჯგუფი ”-ს
დირექტორს ბატონ გიორგი მოსულიშვილს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №76ბ-ში მდებარე მრავალფუნქციურ შენობას, მასზე ერთი მსუბუქი სართულის დაშენების მიზნით. შენობა აგებულია 2011წელს.

საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შენობის საძირკვლის ფუძედ მიღებულია III საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ფენა №4)-არგილიტებისა და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობა, გამოფიტული, რომლის სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc=110 კგ.ძ./სმ^2, საგების კოეფიციენტი k=100 კგ/სმ^3.

საანგარიშო კლიმატურ მონაცემებად მიღებულია აგრეთვე; ქარის ჩქაროსნული დატვირთვა 50კგ/მ^2, თოვლის დატვირთვა 50კგ/მ^2. სამშენებლო მოედნის სეისმურობა 8 ბალი.

გაანგარიშება ჩატარებულია ავტომატურ საანგარიშო კომპლექსით ”ЛИРА 9,4” პრინციპით ”ფუძე შენობა”.

პირობით ნიშნულად ±0.00 მიღებულია აბსოლუტური ნიშნული 494.43. შენობის საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები დიამეტრით 120 სმ. როსტვერკად გამოყენებულია რკინაბეტონის ფილა სისქით 50 სმ.

შენობის მზიდი კონსტრუქცია პროექტში წარმოდგენილია რკინაბეტონის მონოლითური კარკასით. რკინაბეტონის მონოლითური სვეტების განივკვეთის ზომებია 60სმX60სმ; 50სმX50სმ; 40სმX40სმ. სართულშორისი გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილების სისქეები ყველა ნიშნულზე არის 16 სმ. ასევე რკინაბეტონის რიგელიების კვეთების ზომებია 40სმX60სმ. მონოლითური კიბის ფილის სისქე, აგრეთვე სართულშორისი ბაქნის ფილის სისქე 16 სმ-ია.

სარდაფის კედლების სისქეა 30 სმ. ზემოთაღნიშნულ ყველა კონსტრუქციაში გამოყენებულია ბეტონი კლ. B-20.
პროექტი შედგენილია დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე.

ამჟამად შ.პ.ს. ”ტიფლისი ბიზნეს ჯგუფი“-ს სურვილია არსებულ შენობას დააშენოს ორი სრული სართული, რისთვისაც წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

საპროექტო მოცემულობა ითვალისწინებს შენობის გადახურვაზე ორი სართულის დაშენებას მსუბუქი (ფოლადის) კონსტრუქციებით.

შემოწმებით დადგინდა, რომ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მისი საძირკვლებისა და კარკასის კონსტრუქციული ელემენტების მზიდუნარიანობა მასზე ორი სართულის დაშენების თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს და შესაძლებლად მიგვაჩნია, მხოლოდ ამისათვის უნდა დამუშავდეს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მოქმედი ტექნიკური ნორმების გათვალისწინებით.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/